1 03501N 8luwgwmd ulnnd ubpdnn-
bnnuwgwmd dwgbpwlp dwgbpwa dwqnqnd bnnuwgwmd
bp pbpwlp, dpwqbpwa dwqnqnd bnnuwgwmd

მილოცვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა 31 მაისს მიიღო თბილისში მყოფი ატომური ენერგიის ფრანგ სპეციალისტთა დელეგაცია საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის ხელმძღვანელის ანდრე უიროს მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით.

გივი ჯავახიშვილსა და ანდრე უიროს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

— ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, — თქვა გივი ჯავახიშვილმა, — ვმასპინძლობდეთ ფრანგ სტუმრებს. სხვადასხვა დროს ჩვენს რესპუბლიკაში ყოფილან თქვენი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი. მათთან შეხვედრები მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში. მიგვაჩნია, რომ ურთიერთგაცვლა ფართო შესაძლებლობებს სახავს ერთმანეთის უკეთ გაცნობისათვის, მეტი ურთიერთგაგებისათვის.

ამ ბოლო ხანს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ცნობილი დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შეხვედრებს კიდევ უფრო სისტემატური ხასიათი მიეცა. თქვენი ჩამოსვლა საქართველოში იმ პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას. გამოვთქვამთ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის, კერძოდ, საქართველოს მეცნიერული მიღწევების გაცნობა ფრანგი სპეციალისტების მიერ ხელს შეუწყობს ამ თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

გივი ჯავახიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიოში მიმდინარე შემობრუნება დაძაბულობის შენელებისაკენ, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ ქმნის ყველაზე ხელშემწყობ პირობებს მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, ემსახურება ყველა ხალხის კეთილდღეობას.

დელეგაციის წევრებს გააცნეს რესპუბლიკის ეკონომიკა, კულტურა, მეცნიერების განვითარება, ქართველ მეცნიერთა საქმიანობა მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში.

დელეგაციის მეთაურმა ანდრე უირომ მადლობა გადაიხადა საქართველოში მისთვის და მისი კოლეგებისათვის გაწეული მასპინძლობისათვის. — მინდა ვთქვა, — აღნიშნა მან, — რომ საქართველოს საფრანგეთში ჩინებული რეპუტაცია აქვს. ვინც კი აქ ყოფილა, ყველა აღტაცებით ლაპარაკობს თქვენს რესპუბლიკაზე. მოხარული ვიყავი, როცა შევიტყე, რომ საქართველო შეტანილია საბჭოთა კავშირში ჩვენი ყოფნის პროგრამაში. მშვენიერი დოკუმენტური ფილმის წყალობით, რომელიც ჩვენ გვაჩვენეს, წარმოდგენა შეგვექმნა რესპუბლიკის ინდუსტრიული და კულტურული განვითარების შესახებ.

— საბჭოთა კავშირში ჩვენი ჩამოსვლის მიზანი, — განაცხადა ბატონმა უირომ, — ის არის, რომ განვაგრძოთ და გავაღრმავოთ ჩვენი ქვეყნების მეცნიერული თანამშრომლობა, რომელიც ნაყოფიერად ვითარდება. ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორი გზით მივდივართ. ჩვენ კვლავაც უნდა გავაფართოოთ და განვამტკიცოთ მეცნიერთა მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სამეცნიერო, შემოქმედებითი ინტერესების ერთობა.

საუბარს დაესწრნენ საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ბერტრან გოლდშმიდტი, რეაქტორთა უსაფრთხოების კომისიის ხელმძღვანელი უან ბერჟუა, რეაქტორთა მართვისა და განვითარების ინჟინერი უან ლევანდოვსკი, საბჭოთა კავშირში საფრანგეთის საელჩოს მეცნიერებისა და ტექნიკის ატაშე უაკ შაპერი.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შალვა კიკნაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ჩერქეზი, საბჭოთა კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ანდრონიკე პეტროსიანცი—საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს დელეგაციის თანმხლები, რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გიზო დოლიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ევგენი ხარაძე.

პროფესორი რობერტ დოტი —

„ჩვენ მტკიცე მეცნიერული კონტაქტების მომხრენი ვართ“

28 მაისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში როჩესტერის უნივერსიტეტის (ამერიკა) პროფესორმა რობერტ დოტიმ წაიკითხა ლექცია თემაზე — „მეხსიერების პრობლემა და თავის ტვინის ჰემისფეროების ურთიერთმოქმედება“.



როჩესტერის უნივერსიტეტის ტვინის მეცნიერული კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელის რობერტ დოტის შრომები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საბჭოთა კავშირში. შემთხვევით არ არის, რომ სწორედ ის იყო მოწვეული როსტოვში ნეიროკიბერნეტიკის პრობლემებზე გამართულ საკავშირო კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

როსტოვიდან პროფესორი დოტი მეუღლითურთ ქართველ კოლეგებს ეწვია თბილისში. პირველი დღე დაეთმო თბილისისა და მისი შემოგარენის გაცნობას, მეორე — ფიზიოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივთან შეხვედრას. შემდეგ რობერტ დოტი ლექციით წარდგა საბჭოთა ფიზიოლოგების წინაშე, რომელთა შორის იყვნენ აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი, საბჭოთა კავშირის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე როიტბაკი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები სერგი ნარიკაშვილი, ალექსანდრე ბაკურაძე, ვაჟა ოკუჯავა, თენგიზ ონიანი და სხვები.

ლექციის შემდეგ გაზეთ „საღამოს თბილისის“ კორესპონდენტმა პროფესორ დოტის მიმართა რამოდენიმე კითხვით.

● თქვენ ლექცია რუსულ ენაზე წაიკითხეთ. როდის დაიწყეთ რუსული ენის შესწავლა?

— რუსული ენის შესწავლა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს დავიწყე მეგობრის დახმარებით, შემდეგ კი დამოუკიდებლად ვმუშაობდი. ჩვენს უნივერსიტეტში ვრედაქტოროობ სამეცნიერო ჟურნალს ნერვული სისტემის საკითხებზე. ამდენად, ბუნებრივია, მუდმივად ვადევნებ თვალს საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს და, რასაკვირველია, სისტემატურად ვაქვეყნებ მათ მნიშვნელოვან გამოკვლევებს. კერძოდ, ბოლო წლებში ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდა ქართველ მეცნიერთა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პირობითი რეფლექსების ლაბორატორიის გამგის, პროფესორ ვახტანგ მოსიძისა და ამავე ლაბორატორიის თანამშრომლების სამი ნაშრომი.

● რას იტყოდით ფიზიოლოგიის ქართულ სკოლაზე?

— მოხარული და ბედნიერი ვარ, რომ გავიცანი ფიზიოლოგიის ქართული სკოლის ფუძემდებელი — აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი. ბატონ ივანეს და მისი მოწაფეების შრომები ფასდაუდებელი შენაძენია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში.

● საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის დიდი მთელი რიგი შეთანხმებანი. მიღწეულია გარკვეული შედეგები პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ ურთიერთობაში. როგორ აფასებთ ორი უდიდესი ქვეყნის ამ კონტაქტებს?

— ჩვენ, მეცნიერები, მუდამ ვესალმებით ყველაფერს, რაც მომართულია მშვიდობისა და პროგრესისაკენ. მე, მაგალითად, დიდად მოხარული ვარ, რომ როსტოვში ვმონაწილეობდი ადამიანის მხედველობის, სმენისა და მამოძრავებელი ფუნქციების პროთეზირების სფეროში საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების ერთობლივი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებაში, რასაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის; რაც შეეხება ჩემ შეხვედრას ქართველ კოლეგებთან, ჩემი აზრით, იგი უკვალოდ არ ჩაივლის. თუ პირველი კონტაქტი ქართველ ფიზიოლოგებთან პროფესორ ვახტანგ მოსიძის ამერიკაში ჩამოსვლის შემდეგ და ექვსი თვის განმავლობაში ჩვენს სამეცნიერო ლაბორატორიაში მისი მუშაობით დამყარდა, დღეს, იმედი მაქვს, მტკიცე საფუძველი ჩაეყრება ჩვენს მიერ მთელი რიგი აქტუალური პრობლემების ერთობლივ გამოკვლევებს. ჩვენს პრობლემატიკაში ხომ არც ისე ცოტაა საერთო, ხოლო საერთო მონდომებითა და ძალებით ბევრის მიღწევას შევძლებთ.

* * *

სურათზე: მარცხნიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე ბაკურაძე, პროფესორი რობერტ დოტი, აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა ოკუჯავა.

წიგნის გამოფენა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 30 მაისიდან 6 ივნისამდე გაგრძელდა რუმინული სამეცნიერო წიგნების გამოფენა, რომელიც მოაწყო რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ. გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი. გამოფენა გახსნა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა შვგენი ხარაძემ. რომელმაც მოკლედ და საინტერესოდ მიმოიხილა საქართველოსა და რუმინეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიული საწყისები და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა დღეს უფრო ვითარდება და მტკიცდება. შემდეგ ხარაძე მიესალმა სტუმრებს — რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის აგრობიოლოგია-ბიოლოგია-მედიცინის რედაქციის გამგეს ელენე პომპეიუსს, რედაქციის პროპაგანდის განყოფილების გამგეს პუიუ ბრეილიანუს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „ნაუკას“ სამეცნიერო ლიტერატურის პროპაგანდის რედაქციის ხელმძღვანელს ალექსანდრ ეიდინოვს და მისი სახით მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „ნაუკას“, რომელმაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ამ გამოფენის მოწყობას.

სტუმრებს რუმინულ ენაზე მიესალმა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის წევრი ვალერიან ვაჭარაძე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 844 დასახელების რუმინული სამეცნიერო წიგნი, გამოცემათა გეგმები, კატალოგები. გემოვნებით გაფორმებული წიგნები მეტყველებენ გამოცემის დიდ კულტურასა და ოსტატობაზე.

საპასუხო გამოფენას საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „ნაუკა“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“ მოაწყობენ რუმინეთის ქალაქ იასში 16 ივნისიდან 23 ივნისამდე.

საპატიო ჯილდო

სლოვაკეთის უძველეს ქალაქ მარტინში ტრადიციულად ყოველ წელიწადს გაზაფხულზე ეწყობა ეროვნული დღესასწაული „სლოვენსკა იარი“ — სლოვაკური ლიტერატურის კვირეული. ეს არის წელიწადის საუკეთესო ნაწარმოებთა ერთგვარი განხილვა-შეჯამება. დღესასწაულზე ავრეთვე იმართება საინტერესო კონკურსი-შეჯიბრება საუკეთესო ლექსისა და მოთხრობის გამოსავლინებლად.

წლეულსაც აქ თავი მოიყარეს სლოვაკური ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეულმა სტუმრებმა. საზეიმო გახსნაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი, პოეტი მორის ფოცხიშვილი, რომელმაც, ჩვენდა სასიხარულოდ, იქ გამართულ კონკურს-შეჯიბრებაზე დაიმსახურა ერთ-ერთი პირველი ჯილდო — პოეზიისა და ხელოვნების მფარველი ქალღმერთის სიმბოლური ქანდაკება.

— ეს ჯილდო, — თქვა მორის ფოცხიშვილმა, — ქართული ენისა და ლექსის კეთილხმოვნებას განეკუთვნება.

მორის ფოცხიშვილის პოეზიას კარგად იცნობენ სლოვაკი მკითხველები. ბრატისლავაში გამომცემლობა „სლოვენსკი სპისოვატელმა“ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა მისი ლექსების კრებული. კრებული თარგმნა გამოჩენილმა სლოვაკმა მწერალმა მილოშ კრნომ.

მეგობრობის ახალი ფურცელი

უკვე დიდი ხანია მეგობრობენ საქართველოს ამბროლაურის რაიონისა და ჩეხოსლოვაკიის — ბრატისლავის რაიის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მშრომელები.

ამ ხნის განმავლობაში ჩეხოსლოვაკელები ცხრაჯერ იყვნენ ამბროლაურში, ხოლო ამბროლაურელები რვაჯერ ესტუმრნენ თავიანთ მეგობრებს. ამ დღეებში საქართველოში კვლავ ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკელები, დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ფრანტიშეკ სლეზაკი — ბრატისლავის რაიის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარე; იან კნისტინი — მონტაჟმშენის დირექტორი; ედუარდ პოლაკოვიჩი — ინჟინერ-აგრონომი; იოზეფ იურაკი — მეღვინე; სტანისლავ ტიხი — მექანიზატორი; სტანისლავ პოდკოვიჩი — ავტოსახელოსნოს ოსტატი; სესილია ბედიერჩკოვა — მევენახე; ანტონინა კრაიცეროვიცკოვა — მევენახე.

მათ ინახულეს ამბროლაურელთა ზვრები, გაეცნენ ქართველ კოლმეურნეთა საქმიანობას, დაათვალიერეს მევენახეობის კოლმეურნეობები — სადმელი, მეორე ტოლა, ჭრებალო. ნახეს რაიონის ღირსშესანიშნავი ადგილები — XI საუკუნის ისტორიული ძეგლი ნიკორწმინდის ტაძარი, შაორის წყალსაცავი და სხვა.

მასპინძლებმა სტუმრების მონაწილეობით გამართეს დამფუძნებელი კრება, რომელზეც შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების რაიონული განყოფილება, აირჩიეს გამგეობა 25 კაცის შემადგენლობით. გამგეობის პირველ სხდომაზე აირჩიეს ავრეთვე ბიურო, რომელშიც შედიან ამბროლაურის რაიონის თავკაცები.

ნ ე ხ ა ვ ი შ ვ ი ლ თ ა მ რ ა ვ ა ლ თ ა...



დედას შინ თუ გარეთ ბევრი აქვს საფიქრალი.

ნათელა აროშიძე ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში მუშაობს გზის მომწესრიგებლად.

შინ კი.., დიდი ოჯახის პატრონია ნათელა, თორმეტ შვილსა ზრდის. შვიდი გოგონა და ხუთი ვაჟი.

ნათელა და მისი მეუღლე შოთა სალუქვაძე უბედნიერესი და უმდიდრესი ადამიანები არიან. მათ სიმდიდრეს დიდი გაფრთხილება, ბედნიერებას დიდი მეთვალყურეობა უნდა.

შვილები იზრდებიან.

თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა... მაშინ ნათელა გასათხოვარი გოგო იყო. უნივერსიტეტში სწავლობდა, ოპერა უყვარდა...

შემოდგომა იდგა, 1949 წლის 11 ნოემბერი, ოპერის თეატრში ვანო სარაჯიშვილის მოსაგონარ

რული ხომ ცხოვრებაში ძალიან ბევრს ნიშნავს!

შვილებიც კარგი სწავლით ასახელებენ დედ-მამას. ირინეს მუსიკაში აქვს წარმატებები. ნანა ჭორეოგრაფიულ სკოლაში სწავლობს. ფრიადოსანია და კარგადაც ცეკვავს. ტყუპებმა, იამ და ხათუნამ, ვიოლონო შეიყვარეს. სხვებში ალბათ იქნებიან პედაგოგები, ქიმიკოსები, ზეინკლები, ავტომძღოლები.

ამ ერთი ოჯახიდან, მთელი სართულის ექვსივე ოთახი რომ დაუჭერიათ, თორმეტი ოჯახი შეიმატება ქვეყანას.

და-ძმები სალუქვაძეები ურთიერთ სიყვარულში იზრდებიან. მანანამ იცის, რა სჭირდება გოგის, ნუგზარი ვანდაზე ზრუნავს და თორმეტმარცვლიანი კრიალოსანივით არიან ყველანი აწყობილები. დედ-მამა ამბობენ, ერთმანეთი ხუმრობენ, ეხვევიან, ეამებიან ერთმანეთს, ეფერებიან ერთმანეთს, ეჩხუბებიან ერთმანეთს, ეშველებიან ერთმანეთს, ეხმარებიან ერთმანეთს, ეწყინებიან ერთმანეთს, ეპატიებიან ერთმანეთს, ეყვარებიან ერთმანეთს.

ოჯახი ერთიანობაა, ოჯახი ბედნიერებაა, ოჯახი ნეტარებაა.

ოჯახი ნეხავი შვილთა მრავალთა...

საღამო გაიმართა. იმ საღამოზე ნათელა და შოთა ახალგაზრდობილები იყვნენ, ერთი თვის შემდეგ კი შეუღლდნენ.

აგერ ორ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც მათი ოჯახი იზრდება და ძლიერდება. სიყრმის შვილი მანანა ოცდაორი წლისაა, ნაბოლარა ირაკლი — ხუთისა.

დაწარჩენები, ათივე, ყოველ დილით სკოლისაკენ მიდიან.

ოჯახში ათი მოსწავლის სახელმძღვანელოებია. სახელმძღვანელოები შვილებს ყოველდღე სჭირდებათ, ისევე, როგორც ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, სასმელი, საჭმელი... და ყველაფერი თორმეტი.

წიგნი და რვეული, ფეხსაცმელი და პალტო, ლიმონათით სავსე ჭიქა, თუ თეფში გემრიელი საჭმლით.

იზრდებიან სალუქვაძეები.

დედ-მამა ცდილობენ შვილები გულკეთილნი, ურთიერთმოყვარენი, მამულის ერთგულნი გაზარდონ. ორივენი ამაზე ფიქრობენ, უფრო მეტად როგორ შეაყვარონ შვილებს წიგნი. წიგნის სიყვარული ხომ ცხოვრებაში ძალიან ბევრს ნიშნავს!

შვილებიც კარგი სწავლით ასახელებენ დედ-მამას. ირინეს მუსიკაში აქვს წარმატებები. ნანა ჭორეოგრაფიულ სკოლაში სწავლობს. ფრიადოსანია და კარგადაც ცეკვავს. ტყუპებმა, იამ და ხათუნამ, ვიოლონო შეიყვარეს. სხვებში ალბათ იქნებიან პედაგოგები, ქიმიკოსები, ზეინკლები, ავტომძღოლები.

ამ ერთი ოჯახიდან, მთელი სართულის ექვსივე ოთახი რომ დაუჭერიათ, თორმეტი ოჯახი შეიმატება ქვეყანას.

და-ძმები სალუქვაძეები ურთიერთ სიყვარულში იზრდებიან. მანანამ იცის, რა სჭირდება გოგის, ნუგზარი ვანდაზე ზრუნავს და თორმეტმარცვლიანი კრიალოსანივით არიან ყველანი აწყობილები. დედ-მამა ამბობენ, ერთმანეთი ხუმრობენ, ეხვევიან, ეამებიან ერთმანეთს, ეფერებიან ერთმანეთს, ეშველებიან ერთმანეთს, ეხმარებიან ერთმანეთს, ეწყინებიან ერთმანეთს, ეპატიებიან ერთმანეთს, ეყვარებიან ერთმანეთს.

ოჯახი ერთიანობაა, ოჯახი ბედნიერებაა, ოჯახი ნეტარებაა.

ოჯახი ნეხავი შვილთა მრავალთა...

დედა სხვასაც ფიქრობს... რეცხავს და ფიქრობს, სადილს ამზადებს და ფიქრობს. უფროსი ქალიშვილები ეხმარებიან. დედა შიგადაშიგ რჩევას აძლევს შვილებს, დიასახლისობას ასწავლის გოგონებს და ფიქრობს... თორმეტ შვილზე ფიქრობს დედა... განსაკუთრებით არჩილზე.

მეოთხე შვილს ყველაზე მეტი ყურადღება სჭირდება. სამიოდე წლის წინათ ბურთაობაში ფეხი იტკინა არჩილმა. მერე გაუმიზეზდა და ძვლის დაშლა დაიწყო. მარტო დედ-მამა რას გახდებოდა: სწორედ მაშინ იგრძნეს სალუქვაძეებმა ის განსაკუთრებული ყურადღება და პატივი, რომლითაც იქიდება ჩვენი მთავრობა მრავალშვილიანთა ოჯახებს.

ფიქრობს დედა თავის ვაჟზე და, ვინ იცის, მერამდენედ იხსენებს ქეთილად საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზინაიდა ქვაჭაძეს. აბა როგორ არ იყოს იმ ადამიანის მადლიერი. ყოველ წელიწადს ჟირმობლიკას ეწვია. ვიზიტის მიზანიც მშვიდობის განმტკიცება იყო. სალუქვაძეებმა ერთხმად გაიზიარეს ჟველა კეთილი ნების ადამიანის სიხარული და აღფოთება, როცა ლეონიდ ბრეჟნევს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა.

დიდი ბედნიერებაა მშვიდობა. მით უმეტეს დედისთვის და იმ დედისთვის, რომელსაც თორმეტი შვილი ჰყავს. მშვიდობა შვილების ქარგად ყოფნა და დედის ბედნიერება, სიცოცხლე და სიხალისეა. დღითიდღე ემატება ცხოვრების ხალისი დედას.

ეწერგია დიდი აქვს, ულევი. ყოველ ცისმარე დღეს სიხარულით ეგებება.

თორმეტი ქართველი შვილი ეზრდება ქართველ დედას...

ნეტავი შვილთა მრავალთა!

ჯემალ ქურხული

სურათზე: სალუქვაძეების ოჯახი — მანანა, ნუგზარი და ნესტანი კი უკვე სოფელში არიან.

ხალხის რჩეული



ტაბლობაში გაიზარდა თამარ ზეიკიძე. ოთხ და-ძმაში უფროსი დედას ამოუდგა გვერდით. სკოლის დამთავრებისთანავე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ერთ წელიწადს შეგირდად იყო. გამოცდილი და გულისხმიერი ალმზრდელი გიორგი მახარაძე შეხვდა. შვილივით დასტრიალებდა თავს: ასწავლიდა, უხსნიდა, მამობრივად მზრუნველობდა ბეჯით მოსწავლეს.

მე-5 თანრიგის მკერავად გაანწესეს ფაბრიკაში.

მას შემდეგ თითქმის ორმა ათეულმა წელიწადმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა დღე, თამარს დავალება გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. ვინ მოთვლის, რამდენ კაცს აცვია დღეს ამ მშრომელი ქალის ხელით მოხდენილად შეკერილი პალტო თუ კოსტიუმი.

თამარი არა მარტო კარგი მუშაა, სამაგალითო მეგობარიც არის. აი შედეგიც — საამქრო, რომელშიც თამარ ზეიკიძე და მისი მეგობრები ნათელა ჯინჭველაშვილი, ალექსანდრე გეგუჩაძე, ანა გიგაური, დალი ვოლკოვა მუშაობენ, ერთ-ერთი მოწინავეა ფაბრიკაში.

სიკეთემ სიკეთე იცის — თამარი ოთხჯერ აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად, დღეს კი მეხუთედ გამოუცხადეს დიდი ნდობა — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 216 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები 17 ივნისს მეხუთედ მისცემენ ხმას თავიანთ რჩეულს, მკერავ ქალს, რომელსაც ერთი შეხედვით თითქოს დიდი არაფერი უკეთებია, შრომობს კეთილსინდისიერად, ეს არის და ეს; მაგრამ მუშის სინდისი ყველაზე მეტად ფასობს ჩვენს ქვეყანაში და ამიტომაც დამშვენდა თამარის მკერდი „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“...

ხალხის რჩეულს ესმის თავისი მოვალეობა, ამიტომაც ცდილობს გაამართლოს ესოდენ დიდი ნდობა.

გელათის საბჭოს აკადემიაში

გელათში — მეთორმეტე საუკუნის ამ უძველესი განათლების კერაში — დღესაც დიდი წარმატებით განაგრძობს მუშაობას გელათის სახალხო აკადემიის სამეცნიერო საბჭო. მსმენელთა ფართო აუდიტორიისათვის სისტემატურად ეწყობა ლექცია-სემინარები. მსმენელთა წინაშე საინტერესო ლექციებით გამოდიან ჩვენი ქვეყნის ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი.

ამას წინათ გელათის სახალხო აკადემიის საატო დარბაზში გაიმართა მორიგი მეცადინეობა. ლექცია თემაზე — „საბჭოთა მეცნიერების მიღწევები კოსმოსის ათვისების დარგში“, წაიკითხა აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ. ლექციამ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

„სალხინოს“ წარმატება

ჩვენი გაზეთის მკითხველები წელგანდელი აპრილის მეშვიდე ნომერში გაეცნენ რუსთავის ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სალხინოს“, მის ბიოგრაფიასა და საგასტროლო გზებს, ანსამბლის წარმატებით გამოსვლას ბელგიაში. საქართველოს კომუნისტური პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტში საბჭოთა კავშირის ბრიუსელის საელჩოდან მიიღეს წერილი. საბჭოთა კავშირის ელჩი ბელგიაში ვლადიმერ სობოლევი, რომელიც პირადად მოხიბლულა ანსამბლ „სალხინოს“ წევრთა საშემსრულებლო ოსტატობითა და ტექნიკით, იტყობინება მათ დიდ ტრიუმფზე, რომ ბელგიელ მაყურებელთათვის დაუვიწყარი იქნება „სალხინოს“ მიერ გამართული კონცერტები, რომ ბელგიის ჟურნალ-გაზეთებმა უამრავი რეცენზია გამოაქვეყნეს, რომლებშიც ერთსულოვნად მაღალ შეფასებას აძლევენ ანსამბლის კონცერტებს, მსახიობთა საშემსრულებლო კულტურას; განსაკუთრებით აღნიშნავენ საგანგებოდ შერჩეულ პროგრამას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მაყურებელს კარგად გაეცნოს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებსა და ცეკვებს.

მითოლოგიური ლექსიკონი

ძველ საქართველოს ანტიკურ მითოლოგიაში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ სრული სახით ანტიკური მითოლოგია ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე დღემდე არ ჰქონდა. ამ ნაკლის გამოსწორებას მოჰკიდა ხელი ახალგაზრდა ანტიკოსმა ნოდარ გაფრინდაშვილმა. შარშან წლის ბოლოს გამოვიდა მის მიერ შედგენილი „მითოლოგიური ლექსიკონი“ (გამომცემლობა „განათლება“, 1972). ქართულ ენაზე გამოსულ სხვადასხვა ნაშრომებს მანამდე ერთვოდა მითოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონები, მაგრამ განმარტებანი ფრაგმენტურ ხასიათს ატარებდა და მასალის მინიმუმსაც კი ვერ აწვდიდა საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

ლექსიკონის გამოსვლამ ბერძნულ-რომაული მითოლოგია ადვილად მისაწვდომი გახადა ფართო მკითხველისათვის. ამოცანა, რომელიც შემდგენელს დაუსახავს მიზნად, შეგვიძლია მიღწეულად ჩავთვალოთ.

მწერლები — ხუთწლედს

ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი გაემგზავრა რესპუბლიკის დიდ სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მათი შემოქმედებითი მოგზაურობის მიზანია შეხვედრები ნარკვევები, ჩანახატები, რეპორტაჟები, ლექსები საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სახელოვან საქმეზე.

მწერალთა შეხვედრები სახელმოხვეჭილ ადამიანებთან—მუშებთან და კოლმეურნეებთან—თავიანთ მომავალ ნაწარმოებთა გმირებთან, სასიცოცხლო მოთხოვნილებად, შემოქმედების საჭიროებად გადაიქცა. უფრო ახლოს გაიცნონ ჩვენი თანამედროვენი, მათი შემოქმედებითი საქმეები და მიღწევები — აი ამოცანა მწერლებისა, რომლებსაც დღეს შეხვდებით აჭარის ჩაის პლანტაციებში, კახეთის ზვრებში, ცხაკაიელ ხალიჩის მჭედლებთან, ენგურჰესის მშენებლებთან, წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველებთან. ხუთწლედის მოწინავეთა შესახებ შექმნილ ნაწარმოებებს ცალკე წიგნებად გამოსცემენ საქართველოს გამომცემლობები.

შემოქმედებითს მივლინებაშია 40-ზე მეტი პოეტი და პროზაიკოსი.

...სამოცდაათის

სამშობლოს ტრფიალში დაფერფლი- ლი მუზა



შვილიშვილი მაია და პაპა ალიო

ალიო მირცხულავას დაბადების 70 წელი შესრულდა. უდროოდ და მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ორიოდე წლის წინათ, ჭერაც ისეთი განცდა გვაქვს, თითქოს კვლავ ცოცხალთა შორის იყოს და ჩვეული უშუალობით ეხმაურებოდეს სამშობლოს ცხოვრებას. ალიო მირცხულავა ქართული საბჭოთა პოეზიის გამოჩენილი ოსტატია, იგი „ცხოვრების ნათელ განთიადს ამოჰყვა და მთელი არსებით დაუკავშირდა მას“. პოეტის ლექსებში იმთავითვე გაისმა განახლებული ცხოვრების მძლავრი სუნთქვა, მისი პოეზია სამშობლოს მადიდებელ ჰიმნად გადაიქცა. ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა პოეტმა შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა ცხოვრებისაგან განდგომილთ და თავისი მუზა თავისუფალ მიწაზე დასახლებული თავისუფალი ადამიანის სამსახურში ჩააყენა, სამშობლოს სიკეთისათვის ბრძოლა უწმინდეს იდეალად იწამა:

შენი ხმა ჰქუხდეს, პოეტო,
მგზნებარე გულის ნადებად,
ქვეყანას ლექსი მოედოს,
როგორც მზის ამონათებაც!
ბრწყინავდეს აზრი ახალი,
სიცოცხლე სიხარულია,
გწამდეს, ყველაზე მაღალი
სამშობლოს სიყვარულია!

ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ პოეტში მოვლენების სიღრმეებში წვდომის უნარი და მხატვრული წარმოსახვის მკაფიო თავისებურება გამოიმუშავა. იგი სილამაზეს, მშვენიერებას ხედავდა იქ, სადაც ადამიანის სიკეთე, მისი ბედნიერება იჭედებოდა, სოციალისტური სინამდვილე იქცა პოეტის შემოქმედებითი შთაგონების მძლავრ და დაუშრეტელ წყაროდ, ამ სინამდვილეში ხედავდა იმ „მზეს, ქართლის ბედსაც რომ გაუღიმა“ და „ქართული გულის იარებს“ მალამოდ რომ დაედო.

ჩემო სამშობლოვ, დღეს შენი ერი
განახლებული ქართლის ერია,
ასე ხმიერად და ბედნიერად
შენ არასოდეს არ გიმღერია.
ალისფერია შენი მიდამო,
ეგ შენი დროშაც ალისფერია,
შენი სიცოცხლე არის უკვდავი,
შენ დამარცხება არ გიწერია!

რწმენა იმისა, რომ სამშობლოს უბედობა აღარ მოელის, ალიო მირცხულავას პოეზიას ოპტიმიზმითა და ხალისით ავსებს, აბაღლებულსა და მჩქეფარეს ხდის. უოველი ფრაზა პატრიოტი პოეტისა გულის სიღრმიდან მომდინარე ხალასი განცდაა.

როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
აკვანი ცეცხლის გამომხსნელისა,
რომელმაც შობა გმირი მებრძოლი,
დამამხობელი ქვეყნად ბნელისა.
როგორ დაჭკნება მთების მშვენება
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?!

პოეტის გული საბჭოთა ადამიანის სამართლიანი სიამაყის გრძნობით არის აღსავსე, ადამიანისა, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს სამშობლო, მისი დიდებული წარსული და დღევანდელობა, ადამიანისა, რომელიც ყველაფერს დაუზოგავად აძლევს თავის ხალხს, მის სიკეთესა და ბედნიერებას. გადაშლით პოეტის ლექსებს, პოემებს და თქვენს თვალწინ გაცოცხლდებიან მართალი სურათები გუშინდელი და დღევანდელი დღისა, ეროვნული თავისთავადობით აღბეჭდილი სისხლსავსე სახეები. ალიო მირცხულავა მხატვრული მემატიანეა თავისი ხალხის რთული და მდიდარი ცხოვრებისა, დიდი ისტორიული მოვლენებისა, მაგრამ არა გულგრილი მემატიანე, რომელიც მხოლოდ ფაქტების ფიქსაციით კმაყოფილდება და მოვლენების განვითარებას უკან მისდევს, არამედ მღელვარე შემოქმედებითი ფანტაზიით ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული მემატიანე, რომელიც ცხოვრების დეტალების სიღრმეში იხედება და მათს ისტორიულ კანონზომიერებას, ლოგიკურ განვითარებას გვიჩვენებს. ალიო მირცხულავას პოეზიაში შემოქმედის ინდივიდუალურ თავისებურებასთან, მომხიბლავ პოეტურ სამყაროსთან ერთად მკაფიოდ ვხედავთ და აღვიქვამთ დროისა და ადგილის კოლორიტსაც.

ალიო მირცხულავას იდეალი, თუ შეიძლება ითქვას, ძალზე მიწიერია. იგი სწრაფვაა იქითკენ, რომ ქვეყანა ახლებურად დაგვანახოს და განგვაცდევინოს, მოვლენების ცოცხალ დინებაში მოგვაქციოს, ბუნების მშვენიერებით დაგვატკბოს, მაგრამ აზრის ამ სიჭარბით მის სტრიქონებს არც სიფაქიზე აკლდება, არც სილაღე და არც მუსიკალური დახვეწილობა. იგი იშვიათი ბუნებრიობით აზავებს საღებავებს და თვალწარმტაც პოეტურ ფერებს ქმნის. ბევრველი წაკითხვისთანავე იგრძნობთ ალიოსეული ლექსის დამათრობელ სურნელებას.

კალმით ხელში სიტყვებს ვძერწავ,
მე ვარ ხუროც,
დავტრიალებ ამ ცხოვრების ბაღს და
ყანას,
და ქვეყანას, რომ ბოლომდე ვემსახუროთ,
ჩვენი შრომა და სიცოცხლე ჰყოფნის
განა?
მზემ სხივებით ზეცის თაღი შემოქარგა,
ნელა თოვს და... ფერიც ნაირ-ნაირია,
გაზაფხულის თოვლი მოდის, ჩემო კარგო,
და ფიფქებიც ყვავილებში აირია!

ალიო მირცხულავას ლირიკა მუდამ მგზნებარედ ეხმაურება ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, მაგრამ მისი პოეზიის მოქალაქეობრივმა პათოსმა განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა დიდი სამამულო ომის წლებში. როცა ჩვენს სამშობლოს საფრთხე დაემუქრა, პოეტის საბრძოლო მოწოდების ხმა კიდით კიდემდე გაისმა, უველას გულს მისწვდა და აღელვა. მისი საუკეთესო ლექსები მაშინვე სიმღერებად გავრცელდა, ხალხში მტერზე გარდუვალი გამარჯვების რწმენას განამტკიცებდა, ჯარისკაცებს საბრძოლველად აღაგზნებდა, დედებს კი შვილთა გმირობით სიამაყის გრძნობას უღვივებდა. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მხოლოდ ერთი ლექსი — „დედის ფიქრები“, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ძალა და სილამაზე საბჭოთა პატრიოტიზმისა.

...მუდამ გიგონებ დარდით სნეული,
თვალწინ მიდგეხარ ყოველ ცისმარე,
აღარ მასვენებს შემოსეული
დღისით ფიქრი და ღამით სიზმარი.
მუდამ ყურს ვუგდებ მე შენს ნაბიჯებს,
მხოლოდ საათის მესმის ჟღარუნი,
დავწვები, უცებ გამომაღვიძებს
შენი ფარ-ხმალის ხმა და ჩხარუნი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ალიო მირცხულავას პოეზია თემატიკურად კიდევ უფრო გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა. მან გამოაქვეყნა მთელი ციკლი ლექსებისა, რომელშიც ხალხთა ძმობის სიდიადე გამოხატა. ეს ლექსები მუდამ შეინარჩუნებენ აქტუალობას და მეგობრობის კეთილ თესლს გააღვივებენ.

ომის შემდგომ წლებშიც ალიო მირცხულავა საბჭოთა მწერლების მოწინავე რიგებში იდგა, თავისი საუკეთესო ქმნილებებით ამდიდრებდა ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის საუნჯეს.

ალიო მირცხულავა უპირატესად ლირიკოსი იყო, მაგრამ პოეტის შემოქმედების დიაპაზონზე სრული წარმოდგენა არ გვექნება, თუ მისი შესანიშნავი ეპიკური ტილოები — პოემები და პიესა „განგაში“ არ გავიხსენეთ. ეს ქმნილებები ყურადღებას იქცევენ სინამდვილის რეალისტური ასახვით, განზოგადებული და დამაჯერებელი სახეებით, მშობლიური ქვეყნის ბუნების მომხიბლავი სურათებით. აქ ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოჩნდა მოაზროვნე პოეტის ძალა და ინტელექტი.

ალიო მირცხულავას დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე მეტად დიდია. იგი საკუთარი ხმის პოეტია და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განახლებასა და განვითარებაში. სახიჭადულო მამულიშვილისა და მოქალაქე-პოეტის სახელს ქართველი ხალხი მუდამ მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს.

ერემია ჭარელიშვილი

საქართველო — გმირთა დედა

შორს ცისკარი რომ იღება,
დარიალის კარებია,
მზის გარშემო ბნელს რომ ფანტავს,
მშობლიური ქარებია.

მთაში თითქოს ბრძოლის ხმაა,
ცაში ცეცხლის ღარებია,
შრომისაკენ მოწოდების
მოგუგუნე ზარებია.

ისევ ხარობს გაზაფხული,
საამური დარებია,
ჩემი სიყრმე, სიჭაბუკე
ლაღად გამიტარებია.

ყველგან ისმის გამარჯვება,
ყველგან მისი ჯარებია,
სიცოცხლე და სიყვარული
ქვეყნად დაუმყარებია.

საქართველო — გმირთა დედა,
შვილებს გაუხარებია,
შემოსილა მზის გვირგვინით,
ყველგან შუქის ღვარებია.

მას ვეტრფი და მუდამ ვიცავ,
ირგვლივ მთების ფარებია,
სამშობლოზე უფრო მეტად
მე არავინ მყვარებია.

ლეგენდა ცეცხლზე

მეგრულ კერასთან ხშირად, საღამოს,
გამიგონია ლეგენდა ერთი,
თუ როგორ, ციურ ცეცხლისა გამო,
რისხვით შეიბნენ კაცი და ღმერთი.

მან მოიტაცა შუქი მზისაგან,
ოქტომბრის ცეცხლიც მან გააჩინა,
ხალხი დაიხსნა მონობისაგან,
მისგან სიცოცხლეც გადაარჩინა.

როგორ დასწყევლა კაცი ზეცამა,
როგორ განრისხდა ღმერთი მსაჯული
და ამირანიც როგორ ეწამა —
კავკასიონის კლდეს მიჯაჭული.

მეც ამ ლეგენდას, ცეცხლის შესახებ,
ბავშვობიდანვე ხშირად ვიგონებ,
მისი აზრები გულს ჩამესახენ,
ოქტომბრის ცეცხლით ვანთებ
სტრიქონებს.

ვის ეკუთვნის ეს ნივთები?

„ბედნიერი ბავშვობა ჩანს...“

ბავშვთა ნახატების გამოფენა ბორჯომში



ბორჯომის ბავშვთა ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა ბორჯომის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა. ამ ნახატებში ბავშვებმა ასახეს ბორჯომის ბუნების სილამაზე, ადგილობრივი ცხოვრების ეპიზოდები, ზღაპრული სურათები.

ბავშვთა ნახატების გამოფენა ბორჯომში

ამ ნივთებს ჩვენ ვერ ვიცნობთ. ისინი ჩვენთვის უცნობია. ალბათ, ამიტომ ვერც ვერავინ ამოიცნო ისინი. ამ ნივთების ნახვა ნებისმიერ მკითხველს შეუძლია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

ეს ნივთები ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში ბოლო ხანებში მოხვდა. ისინი ქალაქის სხვადასხვა ადგილიდან შეაგროვეს მუზეუმის თანამშრომლებმა

შეხვედრა პარიზში

ხშირად მეკითხებიან — რატომ არ ვისურვე ერთხელ კიდევ ეწვეოდი პარიზს, გული გადამეხალისებინა, ჩემი სიჭაბუკის გარიჟრაჟზე აკი მოვიხილე ყველაფერი, რაც კი რამ არის დედამიწის ზურგზე.

ყოველ დროს აქვს საკუთარი, ინდივიდუალური სახე, რომელიც არასოდეს განმეორდება. პარიზი, რომელმაც გადაიტანა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი და ჩვენი საუკუნის ოციანი წლები, — უდიდესი კატაკლიზმები სამხატვრო სკოლებისა პაბლო პიკასოს მეთაურობით, რომლის სიკვდილმაც უსაზღვროდ დამაღონა, — გახდა ერთგვარი ოაზისი სრულიად ახალი, უაღრესად თავისებური და მრავალსახოვანი მხატვრული ცხოვრებისა. ეს ხელახლა ნაშობი ხელოვნება მკაფიოდ გამოხატავდა თავის ეპოქას. მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება მისალმებოდა ამ ალიონს და დასწაფებოდა იმ ნაყოფთა ნექტარს, რომლის სურნელს არასოდეს გაუვა ყავლი.

ამ ეპოქამ მისცა კაცობრიობას თავისი ბრწყინვალე, განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე წარმომადგენლები. თითოეულმა ამ წარმომადგენელმა შესძლო მხატვრული და საზოგადოებრივი მხრივ სრულფასოვნად, სრულხმოვნად მოეცა თავისი ეპოქის სახე, თავისი თავი ამ ეპოქაში.

ამ ღირსშესანიშნავი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო და განუმეორებელი პიროვნება გახლდათ ვლადიმერ მაიაკოვსკი. პარიზმა აღტაცებით მიიღო მაიაკოვსკი, პოეზიისა და ხელოვნების მექა ახალს ეძიებდა და ეს ახალი პარიზმა მაიაკოვსკიში ჰპოვა. იმ დროის პარიზისთვის იგი იქცა დროშად და ეს დროშა პარიზელებმა მის ლექსებში დაინახეს.

ვალოდია მაიაკოვსკის სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად შევხვდი პარიზში 1922 წელს კაფე როტონდაში. რა დღე-სასწაული იყო ორივესთვის ეს მოულოდნელობა! ერთმანეთს მივაშურეთ, გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ ერთმანეთი, როგორც ორმა ქართველმა და მყის სუფრას მივუსხედით, რათა აღგვენიშნა ეს სიხარული. ჩვენი სამხრეთული, დაუცხრომლად მგზნებარე ტემპერამენტის წყალობით პირთამდე ვიყავით სავსე ბედნიერებით და ზედიზედ ვცლიდით სირჩებს. კმაყოფილებით ვამჩნევდი და ვგრძნობდი, როგორ დაჩრდილა ირგვლივ ყველაფერი ვალოდიამ თავისი პოეტური ელვარებით...

ვალოდიამ მიამბო: წუხელ მთელი ღამე დრო ვატარეთ, დილით კი, ბიჭო, იცი რა (ეს სამი სიტყვა ქართულად მითხრა), პიჯაკის ჯიბეში საფულე აღარ მქონდა...

დიდხანს ვიხარხარეთ გულიანად, მერე ვტკბებოდით ყავის სუნით და კვლავ ვსაუბრობდით. მე ვეკითხებოდი მოსკოვის, თბილისის, საერთო ნაცნობების ამბებს.

საუბრისას შევამჩნიე, რომ მან უკვე იცოდა, რას ვაკეთებდი და როგორ ვცხოვრობდი პარიზში, ისიც კი იცოდა, რომ იგნასიო სულოაგამ — ცნობილმა ესპანელმა მხატვარმა — საშემოდგომო გამოფენაზე შეისყიდა ჩემი ფერწერა. ვალოდიას ძალიან ახარებდა ჩემი ყოველი წარმატება, წამომყვა სახელოსნოში და სურათებს რომ შეჰყურებდა, რამდენჯერმე წამოიძახა: „რა ძლიერი სული გაქვს და რა უსაზღვროა შენი ფანტაზია“.

ვალოდიამ მთხოვა მასთან ერთად ვწვეოდი პიკასოს, დელონეს, ბრაკის, ლეჟეს და სხვათა სახელოსნოებს, მაგრამ ერთადერთი ადგილი, სადაც მასთან ერთად



ვიყავი, იყო ს. და ლ. როზენბერგების გალერეა, სადაც იმ დროს უკვე გამოფენილი იყო ჩემი ნამუშევრებიც.

შევხვდით კიდევ მხატვარ აიზიკ ფედერის სახელოსნოში. ეს შეხვედრა ფოტოსურათზეა აღბეჭდილი: მე პატარა, დაბალ მაგიდას ვუზივარ, ჩემს გვერდით ზის ვალოდია მაიაკოვსკი.

ფრანგმა პოეტებმა და პარიზის საზოგადოებრიობამ მოიწადინეს აღენიშნათ მაიაკოვსკის ჩამოსვლა და პარიზში ყოფნა. ეს ზეიმი გაიმართა კაფე ობსერვატუარში. მაიაკოვსკის მიესალმნენ იმ დროის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მწერლები და პოეტები. ვლადიმერ მაიაკოვსკი კი მისთვის დამახასიათებელი გზნებით კითხულობდა თავის შესანიშნავ ლექსებს. განუმეორებელი და დაუვიწყარი ზეიმი იყო! მე დავესწარი ამ საღამოს ჩემ მეგობარ პოეტებთან და მხატვრებთან ერთად.

ჩემი სიჭაბუკის იმ წლებმა ისე ძლიერ გამიბაბნეს გული, რომ პარიზს ვეღარ დავუბრუნდები. სილამაზის საიდუმლო პარიზმა ამომახსნევინა.

ლადო გუდიაშვილი

18 აპრილი, 1973 წელი.

* * *

სურათზე: პარიზი, 1922 წელი. წინა პლანზე ლადო გუდიაშვილი, უკან ვლადიმერ მაიაკოვსკი.

მაიულის კვაილი

რევაზ ჯაფარიძე

მაიულის ტკბილ-მწარე კვამლი, როგორც პოეტი იტყოდა, ალბათ, მით უფრო სასიამოვნოდ გეჩვენება, რაც უფრო შორსა ხარ სამშობლოდან, რაც უფრო შორიდან სწვდები მას აზრით და წარმოდგენაში ცისარტყელის შვიდივე ფერით ხატავ. ალბათ-მეთქი, ვამბობ, რადგან მე მას ხანგრძლივად არ მოვშორებივარ, თუმცა არცთუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მშობლიური მთების, ველ-მინდვრების, ანკარა წყაროებისა და ნაკადულების ხილვა მეც მომნატრებია და საოცნებოდ გამხდომია. უთუოდ ამ დროს იბადება მწერლის ზეგარდმო შთაგონება. სამშობლოს ცოცხალი სურათი გულში ნათლის სვეტივით ჩაგიდგება და რაღაც უცხო გრძნობა, ასე ნეტარების მომგვრელი და სულის შემგუბებელი, ფრთებს შეგასხამს. მაშინ ყოველი სიტყვა, გულში დიდი ხნის ნალოლიავებ სახეს რომ აცოცხლებს, აუწერელ სიამოვნებას გგვრის და შენზე ბედნიერი ქვეყნიერებაზე კაციშვილი აღარავინ გეგულება.

შთამბეჭდაობითა და რაღაც პოეტური აღმფრენით ბავშვობის მოგონებებს ხომ ვერაფერს შეადრი. ის თითქოს ფესვებია, რითაც ადამიანი მშობლიური მიწის წიაღს, განუმეორებელ ტკბილ სევდას, ბუნების უბიწოებას და ყრმობის პირველ ოცნებებს უკავშირდები. სამყარო იმ დროს, სიყმაწვილეში, ვიწროა, მას ყოველდღე ხედავ და თვალის ერთი გადავლებით თითქმის კიდით კიდემდე ჰვრეტ, მაგრამ სასწაული ის არის, რომ ეს პატარა და თითქოსდა ვიწრო სამყარო, მთელ გარემომცველ სამყაროს, მთელ შენს მშობელ ქვეყანას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს იტევს.

გაგივლიათ ოდესმე ჯრუჭულის ხეობაში? ზემო იმერეთის ამ პატარა მდინარის პირას, სალ კლდეებს შუა მომწყვდეულ შერთულთან ყვირილას რომ ერთვის, მე მთელი ჩემი ბავშვობა და ყრმობა გავატარე. ეს ხეობა ჩემი საქართველო იყო, ძილში თუ ღვიძილში საქართველო ჯრუჭულის ხეობის სახით წარმომიდგებოდა. ჯრუჭულის ხეობა ჩემთვის ბავშვურ თამაშობათა პირველი ასპარეზიც გახდა და საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო ც. იმას, რაც შემდეგ შევიტყე და რამაც სამუდამოდ დამატყვევა, ქვეცნობიერად ყოველი ქვის ლოდზე ვკითხულობდი. გალიპულ ღარებში ზარდმცემი გრიალით დაშვებული საწისქვილო წყალი და წისქვილის მოღუღუნე ქვა, თვალმოუტანებლად რომ ბზრიალებდა და ალაში ფევალ-ფევალ ფქვილს აბნევდა, თითქოს მე, მხოლოდ მე მეჩურჩულებოდნენ და რაღაც აქამდე ამოუხსნელ საიდუმლოს მიმხელდნენ.

პირველად რომ ჯრუჭულა გადავცურე და ფეხი გავდგი ნაპირზე დავდგი, ეს ჩემთვის ახალი სამყაროს აღმოჩენა იყო და, მე რომ მკითხონ, ადამიანის მიერ პირველი ცთომილის დაპყრობას უდრიდა. ახლაც ხომ იქაა ის ნაპირი, გიუმაყი ჯრუჭულის რიყე, ახლაც ხომ ისევ მოჩანს იმ რიყიდან ქვემოხევის სულ ბოლო საბძელი თუ ქოხ-ბოსელი და სატრპელას ლურჯი ვაკე მოხორათუბნისა და ყავილაშვილების გზის გასაყართან. უცნაური მღელვარება მეუფლება ხოლმე, მშობლიურ ადგილებს რომ ვუბრუნდები და ამ ადგილებს თუ გულში სამუდამოდ ჩაბეჭდილ ცოცხალ სურათს უსიტყვოდ ვეალერსები.

ერთ მშვენიერ დღეს სოფლის ბიჭებმა სახედრები შეკაზმეთ, ძირნაყარი საკალოვე მსხლით სავსე გოდრები ავკიდეთ და რაჭის იდუმალებით მოცულ გზას გავუდექით. გრძნობა იმგვარი დაგვეუფლა, თითქოს სხვა პლანეტაზე თუ არა, სხვა კონტინენტზე მაინც მივემგზავრებოდით. ყოველი ბუჩქისა და მოსახვევის უკან მოულოდნელობა გველოდა. დაწალიკებულნი წკაპაწკუპით მიმავალ სახედრებს მივდევდით და თვალი დროდადრო პირღია უფსკრულში დარჩენილ ჯრუჭულასაკენ გაგვეპარებოდა. მერე ცაში აზიდულმა ჯრუჭის მონასტერმა მიიქცია ყველას ყურადღება. პირდაღებული ვიდექით და ამ საკვირველებას ვუყურებდით. მსგავსი რამ ჩვენ არსად გვენახა. თუ ლეგენდას დავუჯერებთ, აღდგომა დღეს აქ უთხრა თვალებდათხრილმა როსტომ რაჭის ერისთავმა თავის ძველ მეტოქეს, აგრეთვე თვალებდათხრილ წერეთელს: „შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღდგა, გიხაროდეს!“ მონასტერს ხომ ირგვლივ ულრანი ტყე არტყია. ამ ტყეში კენჭსაც ვერსად იპოვნი, არამცთუ კლდეს, საშენ მასალად რომ გამოდგეს. რა ხელმა ააშენა ამ ციცაბოკალთებიან მთაზე ეს დიდებული შენობა, საიდან და როგორ მოიტანეს ამდენი ქვა და ლოდი, კირი და, რაც არანაკლებ მთავარია, წყალი, რათა ხელოვნების ეს მშვენიერი ქმნილება აეგოთ. მაშინ ჩვენ, უბირმა ბიჭებმა, აბა რა ვიცოდით, თუ საქართველოს მიწა-წყალი სავსეა ქართველი კაცის სასწაულმოქმედი მარჯვენით აგებული მონასტრებითა და ციხე-კოშკებით, მიუვალი ციტადელებით და ბრწყინვალე სასახლეებით, რომელთა ჭერქვეშ მშენებელი და მებრძოლი ერის სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. შემდეგ, დიდი დრო რომ გავიდა, ევროპის ბევრი ქვეყანა მოვიარე, ბევრი სახელგანთქმული ნაგებობა ვნახე და კიდევაც განვცვიფრდი, მაგრამ ჯრუჭის მონასტრის პირველი ხილვით გამოწვეული აღტაცება მაინც დღემდე შემრჩა, მის გახსენებისას გული დღესაც უცნაური თრთოლვით ამიფრიალდება ხოლმე.

გახსოვთ ხიხა-მთა? ცხრაწყარო, ალპური სათიბები... აქეთ, ჭედს გადმოღმა, ულრანი წიფლიანია, შემდეგ ძველი არგვეთისა და საწერეთლოს ვაკე, რომელსაც სამხრეთიდან ლურჯ ბურუსში გახვეული ლიხის მთა ეკვრის, აქეთ კი ტაფობში ჩაკარგული ზემო რაჭა და მარადიული თოვლითა და ყინვარებით გაბრწყინებული კავკასიონი.

შარშან რაჭველებმა სათიბში დამპატიჟეს. ჭუდზე კაცი გამოსულიყო. მაშინ შევიტყე პირველად: რაჭველი კაცი თიბათვეში თუნდაც ამერიკიდან შინ ბრუნდება, რათა პირუტყვს საზამთროდ თივა მოუთიბოს. ამერიკისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მოსული მართლაც ბევრი ჩანდა, მიწას თავისი მოეთხოვა და ერი და ბერი ცელს ერთად იქნევდა. გალაპლაპებული ცელი ლორთქო ბალახში სიოდა და სხრიალებდა. ხიხა-მთის კალთებს უსასრულო ზოლებად გასდევდა ახალმოთიბული თივის ღვარეულები. მზე რომ საწალიკის თუ ნაჯიხურევს იქით ჩავიდა და გრილმა სიომ დაგვიბერა, ვახშმად დავსხედით. გადმოლმიდან იმერელი მთიბავებიც ამოვიდნენ და სუფრა სუფრას წაება, კვარის უინყლილები ან კუპრში ამოვლებული მაშხალები როდი დაგვჭირვებია. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქოს ნება-ნება გადმოპირქვავდა და ქვეყანას ქვეშ მოექცა. აქეთ რაჭა და იქით იმერეთი, სანამდეც კი თვალი სწვდებოდა, მირადი ნათურით განათდა, გაკაშკაშდა და აციმციმდა. როგორც ოდესღაც ცაში ატყორცნილ ჯრუჭის მონასტერს, ახლაც დიდხანს ვეღარ მოვაშორე თვალი ამ მართლაც და ზღაპრულ სანახაობას — ჩემი დიდი და ამაყი სამშობლოს ერთ პატარა ნაჭერს, რომელიც ხიხა-მთიდან მოჩანდა იმ ღამეს. ქედგადაღმელები ქედგადმოღმელებს უხსნიდნენ და გაწვდილი ხელით მთელ სოფლებს ფარავდნენ:


— ეს შუქრუთია, შე ჩულიანო, ჭორეთი კი არა! ე, სად არი ჭორეთი, საირხე, გორისა, მერჯევი, გორაძირი...

გული რკინისა უნდა გქონდეს, რომ არ აგიჩუყდეს და თვალები ცრემლით არ აგევსოს. ეს ხომ სიხარულის ცრემლებია! სხედან დამაშვრალი, შრომით გულმოკერებული მთიბავები ამ სათიბში, ღვინით პირამდე გაპირპირებულ მოზვრის ყანწს ერთმანეთს აწვდიან, თავი ნუ მოგიკვდება, ჯერ შენ მიირთვიო და აზრადაც არ მოსდით, თუ რაღაც ორასიოდე წლის წინათ აქ სულ სხვა სურათის მოწმე გახდებოდი. იქნებ ზოგს მოსდის კიდევაც, ძველ წიგნებში დამარცვლით ამოუკითხავს, ანდა ზამთრის გრძელ ღამეებში, მამა-პაპეული ბუხრის პირას, საუკუნეგადაცილებულ ბერიკაცებისაგან გაუგონია, მაგრამ მაინც არავის სურს გახსენება, რაც იყო, იყო და საუკუნოდ წარსულს ჩაბარდა. და რა იყო? ტყევნა, რბევა, აწიოკება. მიხტომ-მოხტომა და მტრის წისქვილზე წყლის მიშვება. შევრთდით, გავმაგრდით, ავმაღლდით. მიხარია, წარსულზე რომ არას ამბობენ და მხოლოდ წინ იყურებიან. არა, ეს არც უკუგდება და უარყოფა გუშინდელი დღისა, მხოლოდ წუთიერი, წამიერი სურვილია ყველა ჭირის გადავიწყებისა, რათა ალალი შრომით მოლილმა გულმა მოისვენოს და სალბუნი ჰპოვოს...

გვიან ღამით წამოვიშალეთ და წავედ-წამოვედით. თივაზე გულაღმა გავიშოტე და გატრუნული მოკრიალებულ ცას მივაჩერდი. მესმოდა, როგორ დინჯად ძგერდა გული საგულეში და როგორ აწვებოდა ადუღებული სისხლი საფეთქლებს. არ მახსოვს, ასე რამდენ ხანს ვიყავი. გულისძგერას და სისხლის ჩუხჩუხს ჩუმად ვუგდებდი ყურს და მეჩვენებოდა, რომ ეს ჩემს მკერდში კი არა, მშობელი მიწის წიაღში ძგერდა გული, ეს ჩემი სისხლის ჩუხჩუხი კი არა, მშობლიური ნაკადულების ჩუხჩუხი მესმოდა, თითქოს სამშობლოს შევუერთდი და მის მიწად, ტყედ, ფრიალო კლდეებად ვიქეცი.

ავენდა, დაშვენდა...

თბილისში, კიროვისა და 26 კომისრის რაიონების დამაკავშირებელ მაგისტრალზე, ორთაჭალასთან მტკვარზე გადებული ხიდის გვერდით თვალს მოგტაცებთ მარმარილოთი, ეკლარის ქვითა და მაღალი შემინული ვიტრაჟებით დამშვენებული ვეება ნაგებობა, რომელშიც პირველ ივნისს ბინა დაიდო რესპუბლიკის ცენტრალურმა სამგზავრო ავტოსადგურმა. დილის ექვს საათზე ახალი სადგურიდან პირველი ავტობუსი გავიდა ტყიბულისაკენ — გაწყვიტა ზონარი და გამცილებლებმა მშვიდობით მგზავრობა უსურვეს პირველ მგზავრებს.







● **ვისი პროექტით აშენდა? ვინ მოხატა?** კითხულობდნენ კეთილმოწყობილი შენობით მოხიბლული მგზავრები თუ მნახველები. ამავე კითხვით მივმართე ახალი ავტოსადგურის უფროსს **ავქსენტი ბურჯულაძეს.**

— პროექტის ავტორია შესანიშნავი სამეული — თბილისის მთავარი არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი, არქიტექტორები რამაზ კვანძე და ვლადიმერ ქურთიშვილი; დეკორატიული პანო გააფორმა ზურაბ წერეთელმა. სანაქებო პროექტია, თუმცა ქებას ნახვა სჯობს — აბა შეხედეთ, შენობა თვითონ მეტყველებს ავტორთა დახვეწილ გემოვნებაზე, თანამედროვეობის შეგრძნებასა და მდიდარ ფანტაზიაზე.

არც მშენებლებმა დააკლეს ხელი. „ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ 131-ე სამშენებლო სამმართველომ (სამუშაოთა მწარმოებელი ვახტანგ მენთეშაშვილი და შალვა გოგოლაძე) და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2 ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა (სამუშაოთა მწარმოებელი ბონდო რაზმაძე), ენერგია არ დაიშურეს და თავდადებული შრომით ხორცი შეასხეს არქიტექტორთა ჩანაფიქრს.

● **რა უპირატესობა აქვს ახალ სადგურს ძველთან შედარებით?**

—შედარება არც შეიძლება. ახალ შენობას დაახლოებით 7 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს, მრავალი გასასვლელი და კიბე მგზავრთა სწრაფი და სწორი განაწილების შესაძლებლობას იძლევა. იგი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. ტელევიზიის მოწყობილობა საშუალებას იძლევა კონტროლი გაეწიოს ავტოსადგურის ტერიტორიაზე მანქანების მოძრაობას, განრიგით გასვლას. სადისპეტჩერო რადიოფიცირებულია. ცენტრალური გამანაწილებელი ბიურო, მაჩვენებელი და ელექტროდაფა მგზავრებს მოეხმარება ზუსტ ორიენტაციაში. ავტოსადგური შედგება სამი ნაწილისაგან. ერთში განლაგებულია ადმინისტრაცია, ცენტრალური სადისპეტჩერო პუნქტი, სამედიცინო პუნქტი, მძღოლთათვის დასასვენებელი ოთახები, დედათა და ბავშვთა კეთილმოწყობილი ოთახები... მეორეში მოთავსებულია სალაროები, სადაც მგზავრს შეუძლია რომელი მიმართულებითაც უნდა შეიძინოს ბილეთი. აქვეა რკინიგზისა და აეროვაგზლის სალაროები, ფოსტა-ტელეგრაფი, მოსაცდელი დარბაზი, კაფე, ჟურნალ-გაზეთების ჯიხურები, სამახსოვროების, მედიკამენტების ფარდულები. მესამე სართულზე მოწყობილია 300-ადგილიანი მოსაცდელი დარბაზი და კეთილმოწყობილი რესტორანი. აქვე შორეულ გზებზე მომუშავე მძღოლთათვის განკუთვნილია 50-ადგილიანი კომფორტული სასტუმრო.

● **რა მიმართულებით და დღეში რამდენ მგზავრს მოემსახურებით?**

—ცენტრალური ავტოსადგურიდან ავტობუსები გადის როგორც საქართველოს რაიონებისა და ქალაქების მიმართულებით, ისე რესპუბლიკის გარეთ — სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის ქალაქების მიმართულებით. ჩვენი 200-კაციანი კოლექტივი ყოველდღიურად 12-15000-მდე მგზავრს მოემსახურება. დღეში დაახლოებით 400-მდე ავტობუსი გავა სხვადასხვა მიმართულებით.

● **აქამდე არსებული ავტოსადგური?**

—მას თავისი გზები აქვს. დღეიდან საავტობუსო ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანების საკვანძო სადგური, რომელიც ელბაქიძის დაღმართზე ხიდის გვერდით მდებარეობს, მოემსახურება კოჯორში, კიკეთში, მანგლისში, რუსთავში მიმავალ მგზავრებს, ხოლო გორის, ყაზბეგისა და თიანეთის მიმართულებით მიმავალ მგზავრებს მოემსახურება მეტრო „დიდუბესთან“ მდებარე ავტოსადგური.


მშვიდობით ევლოთ თქვენს ავტობუსებს ყველა მიმართულებით!

საუბარი ჩაწერა

ნადია მეგალიშვილმა

სურათებზე: ცენტრალური რესპუბლიკური ავტოსადგურის ხედი; მოსაცდელი დარბაზი; მშენებლები — მარცხნიდან: საქართველოს დამსახურებული მშენებელი კალატოზი ვიქტორ ქარქუსაშვილი, მღებავი გონდო გელაშვილი, ელექტროშემდუღებელი გენადი კუდაევი.

საშვილიშვილო საქმე



აკადემიკოსი ნიკო მარი 1913 წელს წერდა: „დღემდე არა გვაქვს ძველი ქართული ენის არც სასწავლო და არც სამეცნიერო ლექსიკონი“. მართალია, თვით ნიკო მარმა პირველ მსოფლიო ომამდე გამოსცა ძველი ქართულის შემსწავლელთათვის ქართულ-რუსული ლექსიკონი მარკოზის სახარების 1-2 თავებისათვის, მაგრამ ეს ნაშრომი, იმის გამო, რომ ძირების სისტემაზე იყო აგებული, პრაქტიკული სარგებლობისათვის ერთობ ძნელი აღმოჩნდა, ამავე დროს შეიცავდა ძველი სალიტერატურო ქართულის მდიდარი ლექსიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.

ძველი ქართული ენისადმი ინტერესი ბოლო დროს დიდად გაიზარდა, მისით დაინტერესდნენ საზღვარგარეთაც. მაგალითად, რომში 1952 წელს **Pontificum Institutum Biblicum**-მა გამოსცა კელნის უნივერსიტეტის თეოლოგიისა და ფილოსოფიის დოქტორის იოზეფ მოლიტორის მიერ შედგენილი **Altgeorgisches Glossar zu Ausgewählten Bibeltexten** (ქართული სიტყვისკონა რჩეული ბიბლიური ტექსტებისათვის). მასში შესული ლექსიკაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ წვეთია ზღვაში; გარდა ამისა, ლექსიკონში ბევრი კორექტურული შეცდომაა და ზოგი სიტყვაც არასწორად არის განმარტებული. ძველი ქართული ლექსიკა მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია საბას სიტყვისკონაში (თუმცა იგი საკუთრივ ძველი ქართული ენის ლექსიკონად მაინც ვერ ჩაითვლება), ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში და ა. შ. 1962 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა სერგი სერებრიაკოვის ქართულ-რუსული ლექსიკონი. ეს ნაშრომი, რომელიც ბევრად მაღლა დგას ყველა მის წინამორბედზე, მაინც ძველი ქართული ლექსიკის მცირე ნაწილს შეიცავს და ამ მხრივ ძირითადად ოთხთავის საკითხავად თუ გამოდგება.

ამრიგად, დღემდე ძველი ქართული ლექსიკონის უქონლობას მტკივნეულად განიცდიდნენ როგორც ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ბევრი სხვა დარგის სპეციალისტები, ისე ყველა, ვისაც უმდიდრესი ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურა აინტერესებს. ქართული ფილოლოგიის გამოჩენილმა მკვლევარმა, ქართული და სომხური ენების დიდმა სპეციალისტმა, პროფესორმა ილია აბულაძემ განიზრახა ამ ხარვეზის შევსება. მან ამ ლექსიკონის შედგენას თითქმის მთელი სიცოცხლე მოანდომა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებაც კი ვერ მოასწრო. სწორედ ეს მამულიშვილური წამოწყება დაავირგვინეს ლექსიკონის რედაქტორებმა ელენე მეტრეველმა და ციალა ჭურციკიძემ.

და აი დღეს ჩვენს წინ ძველი დიდი ფორმატის (ექვსას გვერდამდე), მშვენიერ ქაღალდზე დაბეჭდილი, ლამაზ ყდაში ჩასმული, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული, 6.000 ტირაჟით გამოცემული *ძველი ქართული ენის* ლექსიკონი (მასალები). მასში განმარტებულია დაახლოებით 12.000 სიტყვა, რომლებიც ამოწერილია 150-ზე მეტი ძეგლიდან. ყველა სიტყვა დოკუმენტირებულია წყაროებიდან სათანადო მასალით.

12.000 სიტყვა, ცხადია, ძველი ქართული ენის ლექსიკის მხოლოდ ნაწილია; ავტორს თავდაპირველი ჩანაფიქრის გამო (ეს მასალა ქართულ-სომხური დოკუმენტირებული ლექსიკონისათვის სჭირდებოდა) ნაშრომში სრული ასახვა ვერ პოვა ძველი ქართული მწერლობის ისეთმა მნიშვნელოვანმა დარგებმა, როგორიც არის ფილოსოფიური მწერლობა, ორიგინალური აგიოგრაფია, საისტორიო მწერლობა და სხვა. ძველი ქართული ენის სრული (თუნდაც ვრცელი) ლექსიკონის შედგენა ერთი ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. ილია აბულაძის ლექსიკონი აგებულია ძველი ქართული მწერლობის გარკვეულ მასალაზე და ამ სახითაც იგი ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ყველა დაინტერესებულ პირს.

ჰეშმარიტად საშვილიშვილო საქმეა!

მიხეილ ხერხეულიძე

„მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები“

საქართველოში მრავალად არის მღვიმეები. ამჟამად ჩვენში აღმოჩენილი და შესწავლილია ოთხასზე მეტი კარსტული მღვიმე და უფსკრული. ზოგიერთი მათგანი ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. საქართველო მდიდარია ხელოვნური გამოქვაბულებითაც. უფლისციხის, ვარძიის, დავით გარეჯის, სამსარის კლდეში ნაკვეთ ქალაქებთან თუ სხვა უამრავ ქვაბსახიზართან დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი ფურცელი. სწორედ ამით არის ნაკარნახევი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უგანასკნელი ათი-თორმეტი წლის მანძილზე სპელეოლოგიურ კვლევას ფართო ორგანიზაციული გეზი მიეცა.

ამიტომაც მისასალმებელია, რომ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა მეტად საჭირო წიგნი — „მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები“ (ზოგადი სპელეოლოგია), რომელიც ამ დარგის პირველ ნაშრომს წარმოადგენს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საერთოდ. წიგნი კომპლექსური თვალსაზრისით განიხილავს ყოველგვარი წარმოშობის მღვიმეებსა და მათ განლაგებას მსოფლიოში. სარეცენზიო წიგნის ავტორია ცნობილი ქართველი მეცნიერი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პრეზვალსკის სახელობის პრემიის ლაურეატი ლევან მარუაშვილი.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში (ზოგადი სპელეოლოგია) განხილულია მღვიმეთა ბუნებრივი პირობები: გეოლოგიური აღნაგობა, მორფოლოგია, ჰავა, ჰიდროგრაფია, ორგანული სამყარო, მღვიმეში დაცული მატერიალური კულტურის ნაშთები. მეორე ნაწილი (რეგიონული სპელეოლოგია) წარმოადგენს მსოფლიოს მიმოხილვას სპელეოლოგიური თვალსაზრისით, კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით დეტალურად არის განხილული საქართველოს მღვიმეები.

წიგნის შედგენისას ავტორი ეყრდნობოდა როგორც საბჭოთა და უცხოელი მკვლევარების მრავალრიცხოვან შრომებს, ისე პირადი, ოცდაათწლიანი კვლევის შედეგებს.

აღნიშნული სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს გეოგრაფებს, გეოლოგებს, ჰიდროლოგებს, ბიოლოგებს, არქეოლოგებს, აგრეთვე ახალგაზრდა ენთუზიასტებისა და ბუნების მოყვარულთა მრავალრიცხოვან არმიას, რომლებიც მიწისქვეშა სამყაროს კვლევით არიან გატაცებული.

ჯუმბერ ჯიშკარიანი

ქეთევან მაღალაშვილი

ქართულმა საბჭოთა ხელოვნებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი.

ქეთევან კონსტანტინეს ასული მაღალაშვილი დაიბადა 1894 წლის 19 აპრილს.

საშუალო განათლება თბილისში მიიღო. 1911 წელს შევიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში.

1915 წელს ქეთევან მაღალაშვილი უკვე მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სკოლაშია. 1921 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული სურათების გალერეის ბიბლიოთეკაში. გალერეა იმ დროისათვის საქართველოს სამხატვრო ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრი იყო. მისი დამაარსებელი და დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე ხელს უწყობდა ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებით საქმიანობას. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ქეთევან მაღალაშვილის მიერ შექმნილი ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პორტრეტების დიდ გალერეას. 1923 წელს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა იგი მხატვრული განათლების დასამთავრებლად პარიზს მიავლინა.



1926 წელს ქეთევან მაღალაშვილი საქართველოში ბრუნდება, მუშაობას იწყებს ხელოვნების მუზეუმში, ასრულებს შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის ნიმუშებისა და მინიატიურების შესანიშნავ პირებს, პარალელურად ქმნის პორტრეტებს.

წლების განმავლობაში დაძაბული შემოქმედებითი შრომის შედეგად ქეთევან მაღალაშვილმა შექმნა მნიშვნელოვანი გალერეა პორტრეტებისა, სადაც ჩვენი კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით აღბეჭდილია უბრალო საბჭოთა ადამიანების ცოცხალი სახეები. ის მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც ქართული საბჭოთა ფერწერის ისტორიაში ქეთევან მაღალაშვილს თავისი შემოქმედებით უჭირავს, განპირობებულია, უპირველესად ყოვლისა, მისი სურათების დიდი მხატვრული ღირსებებით.

ქეთევან მაღალაშვილი მრავალი რესპუბლიკური თუ საკავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილი გამოფენის აქტიური მონაწილე იყო. მის ნაწარმოებთა უკანასკნელმა, რეტროსპექტულმა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც შარშან შემოდგომაზე გაიხსნა თბილისში, ასახა მისი შემოქმედებითი გზის ევოლუცია და მხატვრის მრავალი წლის ნაყოფიერი საქმიანობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა. წლეულს მაისში იგივე გამოფენა გადატანილ იქნა მოსკოვში. ამ გამოფენებმა დიდი წარმატება და საყოველთაო აღიარება ჰპოვეს.

ქეთევან მაღალაშვილის სახით საბჭოთა საზოგადოებრიობამ დაკარგა არა მარტო დიდი მხატვარი, არამედ შესანიშნავი მოქალაქე, ღრმად პრინციპული, გულისხმიერი და კეთილშობილი ადამიანი. მასთან ურთიერთობა ჭეშმარიტი სიხარული იყო მისი მეგობრებისათვის, რომლებიც ასე მრავლად ჰყავდა მას. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მან შეინარჩუნა შემოქმედებითი ენერგია და იშვიათი ადამიანური მომხიბვლელობა.

ცხოვრების 50 წელიწადზე მეტი შესწირა ქეთევან მაღალაშვილმა თავისი ხალხის თავდადებულ და უანგარო სამსახურს. მისი შემოქმედება შევიდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების საგანძურში.

პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს ქეთევან მაღალაშვილის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და ორი „სპატიო ნიშნის“ ორდენით, აგრეთვე მედლებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდება.

შესანიშნავი ქართველი მხატვრის ქეთევან მაღალაშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მადლიერი ხალხის ხსოვნაში.

სიკეიროსი აფასებს, სიკეიროსი იწვევს

„წება მიბოძეთ პირადად ჩემი და მექსიკის მხატვარ-მონუმენტალისტთა სახელით მივულოცო ზურაბ წერეთელს თბილისის პროფკავშირთა კულტურის სასახლისა და ქალაქ ადლერის საკურორტო კომპლექსის მხატვრული გაფორმება.

თავისი შემოქმედებით იგი მართლაც რომ გავიდა მომავლის ხელოვნების თვალუწვდენელ სარბიელზე, ხელოვნებისა, რომელშიც ქანდაკება ფერწერასთან არის შესანგბული. ზურაბ წერეთლის შემოქმედება დასაფასებელია იმითაც, რომ მან საერთაშორისო ყღერადობა ჰპოვა“.

ეს სიტყვები ეკუთვნის თვალსაჩინო მექსიკელ მონუმენტალისტ მხატვარს დავით ალფარო სიკეიროსს, რომელიც თბილისსა და ადლერში გაეცნო დამსახურებული მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ზურაბ წერეთლის ნამუშევრებს.

დავით სიკეიროსმა ზურაბ წერეთელი მიიწვია მექსიკაში ერთობლივი მუშაობისათვის. სიკეიროსი ქმნის 800 კვადრატული მეტრი ფართობის გრანდიოზულ კომპოზიციას, რომელიც ასახავს საბჭოთა, მექსიკელი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხების მეგობრობას. ამ სამუშაოში ზურაბ წერეთელი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იქნება.

„ენკი-ბენკი“...

ენკი-ბენკი სიკლისა... გახსოვთ ბავშვობის ეს მხიარული გასათვლელი? გავითვლიდით და წრეს ვინც ბოლო შერჩებოდა, თვალის დახუჭვაც მას ევალებოდა. იყო ჟრიამული და სიცილ-ხარხარი, გხედავ და გამოდიო.... დაგასწარი, შენ იხუჭებიო... და აი ბავშვობის ამ ტკბილმოსაგონარმა ეზოდან აფიშაზე გადაინაცვლა... ხუთი წელიწადია იქიდან გვეპატიჟება — მოდით მინიატიურების თეატრში, დაისვენეთ, გამხიარულდით, იცინეთო... აბა ამნაირ მიპატიჟებაზე უარს ვინ იტყვის! ხუთი წლის განმავლობაში თენგიზ ჩანტლაძისა (თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი) და მისი მეგობრების ხელოვნება ათასობით მაყურებელმა ნახა, მოიწონა.

აი როგორია თეატრის მოკლე ბიოგრაფია:

თენგიზ ჩანტლაძემ, როგორც კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა... ფილარმონიას მიაშურა, სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივის ნიჭიერი კონფერანსიე შინაგანმა მოწოდებამ ხელოვნების მსახურად აქცია.

ალექსანდრე გომელაური, კაკო კვანტალიანი, სანდრო ყორუოლიანი, სესილია თაყაიშვილი იყვნენ თენგიზის პირველი მასწავლებლები. როცა იგრძნო, დამოუკიდებლადაც შეეძლებო მუშაობას, 8 კაცისაგან შემდგარი მინიატიურების ანსამბლი ჩამოაყალიბა, პირველ ცდას წარმატება მოჰყვა და მინიატიურების თეატრის შექმნის ოცნებაც გაჩნდა...

აღსრულდა! 1968 წელს თბილისელები პირველად ესტუმრნენ მინიატიურების თეატრს, რომელსაც მისმა მესვეურებმა რომანტიკული სახელი — „ენკი-ბენკი“ უწოდეს. დასში 32 კაცია, რეპერტუარში ჯერჯერობით ოთხი სპექტაკლია: „მეგობრობის მატარებელი“, „ცხრა მუშკეტერი და ხუთი მხარტანიანი“, „ჩვენც ვეძებთ ტალანტებს“ და „ფრთხილად, ქმრებო“. ჯერჯერობითო იმიტომ ვამბობთ, რომ სულ მალე მაყურებელი „ენკი-ბენკის“ შესრულებით გოგოლის „რევიზორს“ ნახავს.

„ენკი-ბენკის“ დაბადების 5 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საღამოზე, რომელიც თბილისის პირველი მაისის რაიონის კომკავშირელთა ინიციატივით მოეწყო, აღინიშნა, რომ თეატრის არსებობა და წარმატება გაპირობებულია მხატვრული ხელმძღვანელის თენგიზ ჩანტლაძისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორ ავთანდილ გელოვანის უნარიანი ხელმძღვანელობით, რომ მსახიობების — ზაირა გოგიაშვილის, მირანდა ქართველიშვილის, მედეა ლორთქიფანიძის, იზოლდა ურუშაძის, მევლუდ ლომიძის, ალექსანდრე ფარცხალაძის, გურამ ღლონტიძის, ბიჭიკო მაისურაძისა და სხვათა ხელოვნება მაყურებელს მოსწონს და აფასებს. თეატრი ხშირი სტუმარია სოხუმისა და ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის, მახარაძისა და თელავის. შარშან მსახიობთა ერთი ჯგუფი რუმინეთს ეწვია და თავისი შემოქმედებით უცხოეთშიც შეიძინა პატივისმცემლები.

ახალგაზრდული თეატრი „ენკი-ბენკი“ მომავალშიც ბევრ კარგ წარმოდგენას პპირდება მაყურებელს.

რევაზ მამალაძე



სურათებზე: თენგიზ ჩანტლაძე ადელინას როლში; ქვემოთ — სცენა იმავე სპექტაკლიდან — „ფრთხილად, ქმრებო!“



ზაირა გოგიაშვილი დედოფლის როლში.



რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 2